

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2019 წლის ანგარიში

საბიუჯეტო განყოფილების გაწეული საქმიანობის ანგარიში (იანვარი- დეკემბერი 2019 წელი)

„ადგილობრივი თვითმართვებლობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №60 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 186,8 ათ.ლარით.

2019 წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება:

I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებით ცვლილება შევიდა სოციალური პროგრამებიდან დახმარებების გაცემის წესში. დამტკიცებული ბიუჯეტი არ გაზრდილა.

II. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის №8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2018 წლიდან გარდამავალი ნაშთებით და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით:

გაიზარდ სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **16 154 702,43** ლარით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა **7 409 887,7** ლარი. მათ შორის:

1. საკუთარი ნაშთი - **5 021 666,80** ლარი;
2. ევროკავშირის გრანტის ნაშთი - **41295,79** ლარი;
3. მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - **20 454,78** ლარი;
4. საქართველოს მთავრობის #1993 განკარგულება (29.10.2018 წ.) - **263 086,77** ლარი;
5. საქართველოს მთავრობის #957 (03.05.2018 წ) განკარგულება (სტიქია) - **1 051 755,14** ლარი;
6. საქართველოს მთავრობის #2168 (09.11.2018 წ) განკარგულება (სტიქია) - **459 695, 28** ლარი;
7. საქართველოს მთავრობის #1525 (21.07.2017 წ) განკარგულება (სტიქია) - **158 717,71** ლარი;
8. საქართველოს მთავრობის #840 (19.04.2018 წ.) განკარგულება (სტიქია) - **41 440,95** ლარი;
9. საქართველოს მთავრობის #265 (19.02.2016 წ.) განკარგულება (სოფლის პროექტები) - **5 096,93** ლარი;
10. საქართველოს მთავრობის #136 (18.01.2018 წ.) განკარგულება (რეგიონალური პროექტები) - **346 677,55** ლარი;

11. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის #6 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **6 480 000** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **6 480 000** ლარი;

12. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის #208 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის #45 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 074 000** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 074 000** ლარი;

13. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის #207 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულებაში „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 190 814,73** ლარი. მათ შორის:

- საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - **1 010 000** ლარი;

- საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით - **180 814,73** ლარი;

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2019 წლის ბიუჯეტი ოქტომბრის მდგომარეობით განისაზღვრა **40 341,5** ათ.ლარით:

- 1) გადასახადები - 7000,0 ათ.ლარი
- 2) გადასახადი დღგ-ს სახით - 13313,8 ათ.ლარი
- 3) ტრანსფერები - 8997,8 ათ.ლარი
- 4) სხვა შემოსავლები - 3370,0 ათ.ლარი

- 5) არაფინანსური აქტივების კლება - 250,0 ათ.ლარი
- 6) შემოსავალი ნაშთიდან - 7 409,9ათ.ლარი.

III. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ნოემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 7 648 426,55 ლარით:

1.საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 მაისის #1065 განკარგულებით „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება მიმართოს განკარგულებების ნაშთები **201 333** ლარის ოდენობით ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მათ შორის:

- ა) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულების ნაშთი - 26 020 ლარი;
- ბ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის #175 განკარგულების ნაშთი - 121 288 ლარი;
- გ) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულების ნაშთი - 54 025 ლარი;

2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #558 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე” ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **560 000** ლარი. მათ შორის:

- 2018 წლის სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის - **560 000** ლარი;

3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის #1308 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე” ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 500 000** ლარი. მათ შორის:

- 2018-2019 წლებში მომხდარი სტიქიების მიერ მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის - **1 500 000** ლარი;

4. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 02 ივლისის #1509 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #557 განკარგულებაში „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ” რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **170 002** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **170 002** ლარი;

5. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 ოქტომბრის #2279 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **800 000** ლარი. მათ შორის:

- 2019 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის - **800 000** ლარი;

6. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის #2269 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულებაში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 113 484** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 113 484** ლარი;

7. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის #2271 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულებაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **2 104 302** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **2 104 302** ლარი;

8. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივნისის განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულებაში „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **332 376,8** ლარი. მათ შორის:

- საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით - **332 376,8** ლარი;

9. ევროკავშირის პროექტის „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **15 628,75** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად - **15 628,75** ლარი;

10. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **851 300** ლარით;

კერძოდ:

- ჯარიმები, სანქციები და საურავები (ორგანიზაციული კოდი 143) – 851 300 ლარით;

2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **47 989,9** ათ.ლარით.

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2018 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 41843,3 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 103,6 %-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 40378,7 ათ.ლარი). შედარებისთვის წინა წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 30 317,2 ათ. ლარს შეადგენდა, ფაქტიურად 32 353,2 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 106,7% □□□.

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 106,04 %-ით (გეგმა 24785,1 ათ.ლარი, შესრულება 26283,0 ათ.ლარი), მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 126,91 %-ით (წლიური გეგმა 7000,0 ათ.ლარი შესრულება 8884,2 ათ.ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 105,42 %-ით (წლიური გეგმა 13313,8 ათ.ლარი შესრულება 14035,3 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 103,7 %-ით (წლიური გეგმა 600,0 ათ.ლარი, შესრულება 622,2 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 77,7 %-ით(წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 77,7 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 298,25 %-ით (გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 410,1 ათ.ლარი);
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 12 %-ით (გეგმა 1000,0 ათ.ლარი, შესრულება 120,0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 119,6 %-ით (გეგმა 200,0 ათ.ლარი შესრულება 239,2 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 75,02 %-ით (წლიური გეგმა 1851,3 ათ.ლარი, შესრულება 1389,0 ათ.ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 66,8 %-ით (წლიური გეგმა 350,0 ათ.ლარი, შესრულება 233,8 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 97,48 %-ით (წლიური გეგმა 250,0 ათ.ლარი, შესრულება 243,7 ათ.ლარი);

2019 წლის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 15560,3 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) მიზნობრივი ტრანსფერი – 253,0 ათ.ლარი ;

ბ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 781,5 ათ.ლარი;

გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 10781,4 ათ.ლარი;

დ) სტიქიის სედეგების სალიკვიდაციოდ – 2654,8 ათ.ლარი;

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 1074,0 ათ.ლარი;

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები (CHARRETTE) – 15,6 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს 47 989,9 ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2019 წლის მდგომარეობით შეადგინა 43 737,9 ათ. ლარი წლიური გეგმის 91,1% -ია.







ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ანალოგიურ პერიოდის მონაცემები ბიუჯეტის ხარჯების შესრულების ნაწილში ასეთია: დამტკიცდა 34 799,7 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 29 371,6 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84,4 %-იყო.


2019 წლის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით. მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 5293,2 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5380,0 ათ.ლარი) 98,39 %;
- ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 139,8 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 143,0 ათ.ლარი) 97,76 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 26 155,7 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 29 794,8 ათ.ლარი) 87,78 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 6147,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6236,6 ათ.ლარი) 98,57 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 4360,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4543,4 ათ.ლარი) 95,98 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 1641,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1892,4 ათ.ლარი) 86,72 %;

2019 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 350,0 ათ.ლარი.

2019 წლის ბიუჯეტი ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით

	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება	12,10%
	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,32%
	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	59,80%
	განათლება	14,05%
	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	9,97%
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,76%



**შესყიდვების
განყოფილების
გაწეული საქმიანობის ანგარიში
(იანვარი- დეკემბერი 2019 წელი)**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ, 2019 წლის I კვარტლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად,

გაფორმდა 2 ხელშეკრულებასთან გათანაბრებული დოკუმენტი წარმომადგენლობით ხარჯებზე, ჯამურად 2205,48 ლარზე და 130 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, ჯამურად, 7 579 730,99 ლარზე. მათ შორის: 88 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის წესით, ჯამური ღირებულებით 638 923,92 ლარი, რაც შესყიდვების სრული მოცულობის 8,42%-ს შეადგენს; 36 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ჯამურად 6 646 669,87 ლარზე, რაც განხორციელებული შესყიდვების 87,70%-ია და 6 ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ჯამურად 294 137,20 ლარზე, რაც სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 3,88%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 28 ელექტრონული ტენდერი, მათგან 6 ტენდერი სხვადასხვა სტატუსით მიმდინარეობის ეტაპზეა; დასრულებული 22 ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო ჯამურად 7 306 524 ლარზე, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 6 499 789,44 ლარი. შესაბამისად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 806 734,56 ლარი (11,04 %).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ, 2019 წლის II კვარტლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, გაფორმდა 195 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ჯამურად, 6 751 174,38 ლარზე. მათ შორის: 151 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის წესით, ჯამური ღირებულებით 2 179 480,88 ლარზე, რაც შესყიდვების სრული მოცულობის 32,28%-ს შეადგენს; 42 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ჯამურად 4 521 751 ლარზე, რაც განხორციელებული შესყიდვების 66,98%-ია და 2 ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ჯამურად 49 942,50 ლარზე, რაც სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 0,74%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 64 ელექტრონული ტენდერი, მათგან 15 ტენდერი სხვადასხვა სტატუსით მიმდინარეობის ეტაპზეა; 8 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ, ხოლო 3 ტენდერი შეწყდა ობიექტური მიზეზების გამო. დასრულებული 38 ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო ჯამურად 1 710 028 ლარზე, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 565 764,15 ლარი. შესაბამისად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 144 263,85 ლარი (8,44 %).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ, 2019 წლის III კვარტლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, გაფორმდა 164 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ჯამურად, 9 475 092,46 ლარზე. მათ შორის: 73 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის წესით, ჯამური ღირებულებით 807 339,67 ლარზე, რაც შესყიდვების სრული მოცულობის 8,52%-ს შეადგენს; 66 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ჯამურად 8 179 680,64 ლარზე, რაც განხორციელებული შესყიდვების 86,33%-ია და 7 ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ჯამურად 488 072,15 ლარზე, რაც სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 5,15%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 76 ელექტრონული ტენდერი, მათგან 17 ტენდერი სხვადასხვა სტატუსით მიმდინარეობის ეტაპზეა; 4 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ, 3 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან მასში მონაწილე ვერცერთმა პრეტენდენტმა დააკმაყოფილა სატენდერო პირობები, ხოლო 1 ტენდერი შეწყდა ობიექტური მიზეზების გამო. დასრულებული 51 ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო ჯამურად 2 669 266 ლარზე, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2 401 120,22 ლარი. შესაბამისად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 268 145,78 ლარი (10,05%).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ, 2019 წლის IV კვარტლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, გაფორმდა 189 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ჯამურად, 3 210 863,62 ლარზე. მათ შორის: 139 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის წესით, ჯამური ღირებულებით 814 951,42 ლარზე, რაც შესყიდვების სრული მოცულობის 25,38%-ს შეადგენს; 43 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ჯამურად 2 365 502,20 ლარზე, რაც განხორციელებული შესყიდვების 73,67%-ია და 7 ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ჯამურად 30 410 ლარზე, რაც სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 0,95%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 49 ელექტრონული ტენდერი, მათგან 9 ტენდერი სხვადასხვა სტატუსით მიმდინარეობის ეტაპზეა; 5 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ, 2 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან მასში მონაწილე ვერცერთმა პრეტენდენტმა დააკმაყოფილა სატენდერო პირობები, ხოლო 1 ტენდერი შეწყდა ობიექტური მიზეზების გამო. დასრულებული 37 ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო ჯამურად 1 323 115,80 ლარზე, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 265 353,69 ლარი. შესაბამისად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 57 762,11 ლარი (4,37%).

**სახაზინო მომსახურებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
განყოფილების
გაწეული საქმიანობის ანგარიში
(იანვარი- დეკემბერი 2019 წელი)**

1. 2019 წლის იანვრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით განყოფილებას მიღებული აქვს 7925 წერილი, ბრძანებები, ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოების, სოციალური დახმარებების და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სხვადასხვა საპასუხო წერილები რომელთა 99,9%-ზე პასუხია გაცემული. დანარჩენ საპასუხო წერილზე მომზადდება სათანადო პასუხი, ხოლო გადასარიცხი თანხა უპრობლემოდ გადაირიცხება წლის დასაწყისში.
2. იანვრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით შემოსულია 41583,9 ათასი ლარი აქედან გრანტებიდან და ტრანსფერებიდან მიღებულია 15544,7 ათასი ლარი, გადასახდებლებიდან 22919,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებიდან 3119,8 ათასი ლარი, შემოსავლები არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 243,7 ათასი ლარი, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 7615,3 ათას ლარს, ბიუჯეტის შემოსავლობები, მიღებული ტრანსფერები და სხვა შემოსულობები აღრიცხულია სახეების მიხედვით, შემოსავლების გეგმა მიმდინარე პერიოდისთვის შესრულებულია კარგად.
3. სახაზინო სამსახურში ყოველდღიურად წარმოდგენილი შესასრულებელი თითოეული გადარიცხვას ინფრასტრუქტურული სამუშაოების გადარიცხვამდე მიხედვით ვუდარებ სახშესყიდვებს, ბიუჯეტიდან გამოყოფილ და მიღებულ ასიგნებებს შემდეგ ვამუშავებ ვალდებულებებს, პირველადი დოკუმენტებს, ინვოისებისა და მოთხოვნების მომზადება და გადაგზავნა სახ ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში დასამტკიცებლად. 12 თვის მონაცემებით საკასო ხარჯების ჯამი შეადგენს 44125,0 ათას ლარს, მ/შორის ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიხედვით გაწეული ხარჯები კი როგორც ადგილობრივი შემოსავლებით და განკარგულებებით გამოყოფილი და მიღებული თანხებიდან შეადგენს 24410,2 ათას ლარს, ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი თითოეულ შესრულებულ სამუშაოს მიხედვით ხდება მისი შედარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რესუსებთან და შესაბამისად ხდება ცალ-ცალკე თითოეული სამუშაოზე, რეგ ფონდების მიერ გამოყოფილი რესურსებით და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანხების შედარება თითოეული წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. შემდგომ საკასო ხარჯების მიხედვით ხდება ასახვა არაფინანსური აქტივების მუხლში. თითოეული ხარჯი ასახულია ეკონომიური მუხლების მიხედვით, და მიწოდებულია სამსახურის უფროსისთვის.
4. მზადდება ყოველდღიურად და ასევე ყოველთვიურად ცხრილი რომელიც შესაბამისად ეგზავნება სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს და მერიის შესაბამის სამსახურებს.
5. ყოველდღიურად დღის ბოლოს ხდება საბანკო ამონაწერის დამუშავება თითოეული მუხლების მიხედვით და შედარება საკასო ხარჯებთან

6. შესყიდვების განყოფილების მიერ სახელმწიფო შესყიდვით მიღებული, უსასყიდლოდ გადმოცემული, უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური ფასეულობების მოძრაობის აღრიცხვა.
7. თვის ბოლოს არსებული ნაშთებით შემოსულობებითა და საკასო ხარჯებით ხდება ნაშთების გამოყვანა, წარდგენა უფროსიათვის, საკასო ხარჯების გამოყვანა თითოეულ ორგანიზაციასთან და (ა(ა)იპ)-ებთან.
8. ყოველთვიურად საგადასახადო დეკლარაციების შედგენა და დადგენილ ვადაში წარდგენა შემოსავლების სამსახურში არაუგვიანეს თვის 15 რიცხვისა.
9. ყოველთვიურად თანამდებობის პირთა და მოსამსახურე პირთა შრომის ანაზღაურების უწყისების დარიცხვა, დაკრედიტება და ჩარიცხვა არაუგვიანეს 23 რიცხვამდე. ასევე სხვა გასაცემლების დარიცხვა და გადარიცხვა
10. სახ სტატისტიკა ორგანოში სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება არაუგვიანეს ყოველთვის 25 რიცხვისთვის
11. ანგარიშების გამოყვანა როგორც შემოსავლების ასევე საკასო ხარჯების მიხედვით.
12. არაფინანსური და ფინანსური აქტივების, ვალდებულებების, დებიტორული-კრედიტორული დავალიანებების სისტემატური აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა. შესაბამისი უწყისებისა და აქტების მომზადება.